

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის სხდომის
ოქმი N 14

ქ.ვანი თავისუფლების N65

3 დეკემბერი 2019 წელი
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, მალხაზ ცერცვაძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: გელა ჩიკვაძე, შოთა გიორგაძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე, კობა ძაგნიძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი- **ივანე მამფორია**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე** .

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.

მომხს: ივანე მამფორია

დაადგინეს; დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებზე.

ბიუჯეტში ცვლილების საჭიროება განპირობებულია 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ შეტანილმა ცვლილებამ, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შემცირდა 3837,3 ათასი ლარიდან შედეგად 3830,7 ათას ლარამდე, 6,6 ათასი ლარით.

ასევე ცვლილება შევიდა 2019 წლის 15 მარტის N554 განკარგულებაში, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა შემცირდა 129,9 ათასი ლარიდან 112,6 ათას ლარამდე, 17,3 ათასი ლარით.

ბიუჯეტის საკუთარი სახსრებიდან გასაწევ გადასახდელებში, სარეზერვო ფონდის მოცულობა იზრდება 10,0 ათასი ლარით, საბავშვო ბაღების დაწესებულებათა გაერთიანების 6,0 ათასი ლარით, ხოლო 11,0 ათასი ლარით გარე განათების რეაბილიტაციის დაფინანსება, ფერეთას ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათების მოწყობის მიზნით.

აზრი გამოთქვა კომისიის წევრმა მალხაზ ცერცვაძემ.

ზედა გორას საბავშვო ბაღს ესაჭიროება რემონტი, რატომ უნდა დაიხუროს გაუსამღისი პირობების გამო ბაღი, როცა ბავშვთა რაოდება არც ისე ცოტაა. გთხოვთ გაითვალისწინოთ წარმოდგენილი პრობლემა და შესაბამისი რეაგირება მოვახდინოთ.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

მომხრე - 7

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N125 დადგენილებაში ცვლილებების შეტანას.

/დანართიN2/

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე